**გარემოს დაცვისა და სოფლის**
**მეურნეობის მინისტრი**

01 ნოემბერი 2024

N 2-823

# ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

**საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემაში სექსუალური შევიწროების, ექსპლუატაციის და ძალადობის პრევენციისა და რეაგირების წესის დამტკიცების შესახებ**

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის 2024 წლის 17 ოქტომბრის N01/1/1826 წერილის საფუძველზე,

**ვბრძანებ:**

1. დამტკიცდეს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემაში სექსუალური შევიწროების, ექსპლუატაციის და ძალადობის პრევენციისა და რეაგირების წესი თანდართული რედაქციით.
2. დაევალოს სამინისტროს ადმინისტრაციულ დეპარტამენტს ამ ბრძანების გაგზავნა სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფებისთვის, სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებისთვის, საჯარო სამართლისა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირებისთვის.
3. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის საფუძველზე, „ძალადაკარგულად გამოცხადდეს „საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემაში სექსუალური შევიწროების პრევენციისა და რეაგირების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2021 წლის 24 მარტის N2-346 ბრძანება.

ოთარ შამუგია

მინისტრი

https://edocument.ge/mea/public/#/823-2-4-202411010852